საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო
გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

ადმინისტრაციული მიწერილობა
№ 004659

„ 1 “ ივნისი 2026 წ.

ქ. თბილისი
(შედგენის ადგილი)

გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სარგებლობის სფეროში საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევების აღმოსაფხვრელი ღონისძიებების გატარების ან რაიმე ქმედებებისაგან თავის შეკავების შესახებ

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება - გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი
(ადმინისტრაციული მიწერილობის გამცემი ორგანოს დასახელება, იურიდიული მისამართი)
ქ. თბილისი ვ. ნიკოლაძის I შეს N1

ადმინისტრაციული მიწერილობის ობიექტი: შპს „გია 2019“ (ს/ნ 430804640)
(ფიზიკური პირის შემთხვევაში – სახელი, გვარი,
[redacted] დირექტორი [redacted]
პირადობის მოწმობის ნომერი, საცხოვრებელი ადგილი, იურიდიული პირის შემთხვევაში – იურიდიული პირის სახელწოდება, იურიდიული მისამართი)
[redacted] სიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის N516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

დარღვევები, რომლებზეც გაიცემა ადმინისტრაციული მიწერილობა: იხილეთ N004659 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი N1
(დარღვევების ჩამონათვალი, რომლებზეც გაიცემა მიწერილობა)

გასატარებელი ღონისძიებები: ოქმით N004659 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

(დავალების არსი, საჭიროების შემთხვევაში, შესრულების ვადები)

თან ერთვის დანართი: 5 ფურცელი

(დანართის №, გვერდების რ-ბა, დანართების არარსებობის შემთხვევაში დაისმევა z)

პასუხისმგებლობა ადმინისტრაციული მიწერილობის შეუსრულებლობის შემთხვევაში:

ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლის, 79^8 მუხლის [illegible] პირველი ნაწილის და 84-ე მუხლის 3^1 ნაწილის შესაბამისად

(კანონის მუხლ(ებ)ი, შესაბამისი პუნქტი ან ნაწილი, ქვეპუნქტი)

მიწერილობის გამცემი თანამდებობის პირი: გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის [illegible] - მთავარი სახელმწიფო ინსპექტორი ნანა [illegible]

(თანამდებობა, სახელი, გვარი)

თანამდებობის პირის ხელმოწერა: [illegible]

ადმინისტრაციული მიწერილობის მიმღები (ივსება პირდაპირი ჩაბარების შემთხვევაში):

[illegible]

(რეგულირების ობიექტის წარმომადგენელი პირი, მისი ხელმოწერა და თარიღი)

2026 წლის 1 ივნისის №004659 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ცხელ ხაზზე (153) შემოსული სატელეფონო შეტყობინებების (№DES22500050640 და №DES72500052896) საფუძველზე, 2025 წლის 27 აგვისტოს, დეპარტამენტის უფლებამოსილი თანამშრომლების მიერ, განხორციელდა ქ. რუსთავში, მშენებელთა ქ. №72-ში განთავსებული, შპს „გია_2019"-ის (ს/კ 430804640) კუთვნილი ცემენტის საწარმოზე, სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირება.

ინსპექტირების შედეგად გამოვლინდა შემდეგი დარღვევები:

1. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტით** გათვალისწინებული მოთხოვნის შესრულების მიზნით, შპს „გია_2019" საქმიანობას არ ახორციელებს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ანგარიშში წარმოდგენილი ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად. კერძოდ:

1.1. გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის თანახმად შპს „გია_2019"-ის კუთვნილი ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე ნედლეულის (კლინკერი, თაბაშირი, ღორღი) შემოტანა ხდება ავტოთვითმცლელებით, რომელიც უნდა იყრებოდეს დახურულ სასაწყობო ტერიტორიაზე, თუმცა ფაქტობრივი მდგომარეობით, შპს „გია_2019"-ის კუთვნილი ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე შეტანილი ნედლეულის ნაწილი დასაწყობებულია ღია ცის ქვეშ;

2. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტის** შესაბამისად შპს „გია_2019"-ს არ აქვს შემუშავებული და სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენილი მონიტორინგის გეგმა;

3. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-7 პუნქტის** შესაბამისად, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, კვარტალში ერთხელ, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე, კომპანია არ ახორციელებს ატმოსფერულ ჰაერის ინსტრუმენტულ მონიტორინგს და მისი შედეგების სააგენტოში განსახილველად წარდგენას;

4. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-13 პუნქტის** შესრულების მიზნით,

კომპანიამ არ უზრუნველყო საქმიანობის დაწყების შესახებ ინფორმაციის სააგენტოში წარდგენა;

5. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-4 პუნქტის შესაბამისად, შპს „გია_2019“ ვალდებული იყო, ექსპლუატაციის პირობების ცვლილებამდე, უზრუნველეყო დაბინძურების სტაციონარული წყაროებიდან ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებების ორგანიზებული გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის უწყვეტი განსაზღვრა ინსტრუმენტული მეთოდით, საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №413 დადგენილების შესაბამისად, რაც არ იქნა შესრულებული. კერძოდ:

5.1. ცემენტის საწარმოს ინსპექტირებით დადგინდა, რომ ცემენტის დაფქვის პროცესი მიმდინარეობდა ორი ერთეული ერთმანეთისგან დამოუკიდებელი წისქვილის გამოყენებით (გაფრქვევის წყაროები: "გ-1" და "გ-2"), თუმცა შპს „გია_2019“ის მიერ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის უწყვეტი თვითმონიტორინგის ელექტრონულ სისტემაში რეგისტრირებულია მხოლოდ მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის ერთი წყარო - „გ-1“. შესაბამისად, დადგინდა, რომ სრულყოფილად არ იყო შესრულებული ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების ფაქტობრივი რაოდენობის ინსტრუმენტული მეთოდით უწყვეტად განსაზღვრის ვალდებულება. **ამასთან, „გ-2“ გაფრქვევის წყარო უწყვეტი თვითმონიტორინგის სისტემაში დარეგისტრირდა 2026 წლის 10 მარტს;**

6. შპს “გია_2019“-ის კუთვნილი ცემენტის საწარმოს ინსპექტირების დროს დაფიქსირდა მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებისათვის განკუთვნილი ჭა (GPS კოორდინატი: X-503860 Y-4595426). აღნიშნული ჭიდან კომპანია, სამეწარმეო მიზნით, ახორციელებს მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვებას საკისრების გასაგრილებლად, თუმცა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია შპს „გია_2019“-ზე არ არის გაცემული;

ინსპექტირების შედეგად გამოვლენილ დარღვევებზე, 2025 წლის 10 ოქტომბერს, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლის, 76^1 მუხლის პირველი ნაწილისა და 79^8 მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, შპს „გია_2019“-ის მიმართ, შედგა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შესახებ №096208 ოქმი, რომელიც დეპარტამენტის 2025 წლის 20 ოქტომბრის №DES 7 25 00064758 წერილით, განსახილველად გადაეგზავნა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლომ, 2025 წლის 5 ნოემბრის №4-515-25 დადგენილებით, კომპანია სცნო ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩამდენად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 57^1 მუხლით, 76^1 მუხლის პირველი ნაწილით და 79^8 მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებაში და სახდელის სახით შეუფარდა

ჯარიმა - 10 000 ლარის ოდენობით. დღეს არსებული მდგომარეობით, დადგენილება შესულია კანონიერ ძალაში.

გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის 46-ე მუხლისა და მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება ადგენს გონივრულ ვადას გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით განსაზღვრული პირობების შესრულებისა და ინსპექტირების შედეგად გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შპს „გია_2019“-ის მიმართ, შემუშავდა დეპარტამენტის 2026 წლის 1 ივნისის № 004659 ადმინისტრაციული მიწერილობა.

2026 წლის 1 ივნისის №004659 ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №2

შპს „გია_2019“-ის ცემენტის საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე (წარმადობის გაზრდა), სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული პირობებისა და გარემოს დაცვის სფეროში მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი ნორმების შესრულების მდგომარეობის ინსპექტირებისას გამოვლენილი დარღვევების აღმოსაფხვრელად, **შპს „გია_2019“ ვალდებულია:**

1. საქმიანობის განხორციელება მუდმივად უზრუნველყოს გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-3 პუნქტი).** მათ შორის:

1.1. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **დაუყოვნებლივ დაიწყოს** და შემდგომ **მუდმივად უზრუნველყოს** ცემენტის საწარმოს ტერიტორიაზე შეტანილი ნედლეულის დასაწყობება დახურულ სასაწყობო ტერიტორიაზე, გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის შესაბამისად;

2. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 1 (ერთი) თვის ვადაში** უზრუნველყოს, ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე თვითმონიტორინგის კანონმდებლობით განსაზღვრულ ვალდებულებებთან ერთად (უწყვეტი ინსტრუმენტული მონიტორინგის სისტემის გათვალისწინებით), მონიტორინგის გეგმის ხელახლა შემუშავება და სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში შესათანხმებლად წარდგენა, სადაც გაფრქვევის წყაროებზე მონიტორინგის კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, გათვალისწინებული იქნება ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვევების რაოდენობის განსაზღვრის ინსტრუმენტული მონიტორინგის საკითხები უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე მონიტორინგის სიხშირისა და სააგენტოში მონიტორინგის შედეგების წარმოდგენის პერიოდულობის მითითებით. მონიტორინგის გეგმაში შეტანილი უნდა იყოს შერჩეული მეთოდის/ხელსაწყოს და სტანდარტის შესახებ ინფორმაცია, ასევე ინსტრუმენტული მონიტორინგის ადგილმდებარეობის GIS კოორდინატები. გეგმის შეთანხმების შემდგომ **მუდმივად** უზრუნველყოს სააგენტოსთან შეთანხმებული მონიტორინგის გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების შესრულება ამავე გეგმით განსაზღვრული სიხშირით და წერტილებში (სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების **მე-6 პუნქტი**);

3. ადმინისტრაციული მიწერილობის ჩაბარებიდან **არაუგვიანეს 2026 წლის 30 ივნისის ჩათვლით** უზრუნველყოს, საწარმოს მაქსიმალური დატვირთვის პირობებში, უახლოესი დასახლებული პუნქტის საზღვარზე, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის კონცენტრაციის ინსტრუმენტულ მონიტორინგის ჩატარება, ხოლო ჩატარებიდან **არაუგვიანეს 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში** მონიტორინგის შედეგები განსახილველად წარადგინოს სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში. შემდგომ **კვარტალში ერთხელ** უზრუნველყოს, მონიტორინგის განხორციელება და შედეგების

სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში განსახილველად წარდგენა (2022 წლის 14 დეკემბრის №516/ს ბრძანებით გაცემული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-7 პუნქტი);

4. ვინაიდან ინსპექტირებით დადგინდა, რომ კომპანია სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) მოპოვებას ახორციელებს შესაბამისი ლიცენზიის გარეშე (იხ. ადმინისტრაციული მიწერილობის დანართი №1-ის მე-6 პუნქტი), "გარემოს დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 57-ე მუხლის მე-7 პუნქტისა და "საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის მიერ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების წესის შესახებ" საქართველოს მთავრობის 2015 წლის 17 თებერვლის №61 დადგენილების მე-10 მუხლის მე-8 პუნქტის საფუძველზე, **გეზღუდებათ მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვების უფლება** სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გარეშე.